ახალგაზრდობის
სააგენტო

KA000097590091820

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო
ვაჟა-ფშაველას გამზ. 76ბ, თბილისი 0186.

№ 01/596 **25 / აგვისტო / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

მ/წლის 25 ივლისს და 11 აგვისტოს, მთავრობის დავალებით და ეკონომიკის სამინისტროს დაფინანსებით, ქართველ სტუდენტებს, რომლებსაც სამუშაო მოწვევა ქონდათ გერმანიიდან, საშუალება მიეცათ ესარგებლათ სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული თბილისი-ბერლინი-თბილისი ავიარეისით.

მ/წლის 20 აგვისტოს მთავრობის სხდომაზე გადაწყდა კიდევ ერთი ავიარეისის ჩანიშვნის საკითხი. ამჯერად სუბსიდირებული ავიარეისით (თბილისი-ბუდაპეშტი-თბილისი) სარგებლობის საშუალება ექნებათ უნგრეთში და უნგრეთის მეზობელი ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ ქართველი სტუდენტებს.

საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და უნგრეთის საელჩოსთან კომუნიკაციის შედეგად, გაირკვა რომ COVID19 ვირუსის პრევენციის მიზნით, საზღვრის კვეთისას, აუცილებელია სტუდენტს ქონდეს ფრენამდე ხუთი დღით ადრე გაცემული PCR ტესტის ორი უარყოფითი ცნობა, მათ შორის ერთი ცნობა გაცემული უნდა იყოს ფრენამდე 48 საათით ადრე.

დაინტერესებული სტუდენტების თხოვნიდან, ასევე შეღავათიანი ფასის მქონე ავიარეისის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებლობის ფარგლებში, გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული რეისის მგზავრი სტუდენტებისთვის PCR ტესტის უსასყიდლოდ ჩატარება და შესაბამისი ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობის გაცემა.

ფრენის სავარაუდო თარიღად განსაზღვრულია 8 სექტემბერი, ავიარეისით ისარგებლებს დაახლოებით 170 სტუდენტი.

პატივისცემით,

სააგენტოს ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

რევაზ ჩარკვიანი